№ 33 24 აგვისტო 1873 24 აგვისტო № 33

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით.	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადებანი, „დროებაში" დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ქუთაისში: გერასიმე პალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА".

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

რედაქციისაგან: ბანკზედ მობაასეებისადმი — კორრესპონდენტებისადმი — საქართველო: „დროების" კორრესპონდენცია: ქუთაისიდამ — ოზურგეთის „დროების" კორრესპონდენტს — (დარისპან მიქელაძისა) — წვრილი ამბები — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — ესპანია — თანამედროვე შენიშვნები და სურათები — ნარევი.

ფელტონი: გაკვრა-გამოკვრა — ნ. სკანდელისა.

რედაქციისაგან

ბანკზე მობაასეებისადმი

„დროების" რედაქციას ამ ბოლოს დროს რამდენიმე ბანკის თაობაზედ ბაასის შესახები წერილი მოუვიდა დასაბეჭდად. აკ. წერეთლის ნაწერის „იმე"-ს მიბაძვით და იაკინთე ყიფიანის მიბაძვით „ერიჰაა"-ს წამხედურობით, ამ ახალს მობაასეებს თავის ნაწერისათვის ზოგს „პოი, პოი" დაურქმევია, ზოგს „აი-აი-აი," ზოგს „ნწ-ნწ-ნწ". ამგვარი დამცინავი და მაძაგებელი ხმები ჩვენს ენაზედ ძალიან ბევრია და თუ კაცი იმათ გაჰყვა, ბოლო აღარ ექნება ამგვარ წერილებს. ამიტომ ვაცხადებთ, რომ დღეის ამას იქით ჩვენ არც ერთს ბანკზედ ბაასის შესახებ წერილს არ დავბეჭდავთ, თუ ეს ბ. ღოღობერიძის, ნ. ნიკოლაძის და სამოწმოდ გამოწვეული პირების კალამს არ ეკუთვნება.

კორრესპონდენტებისადმი

„დროების" რედაქციას ხშირად იმისთანა კორრესპონდენციები მოსდის, რომელზედაც არც ავტორის სახელი და გვარი აწერია და არც ის, თუ ავტორი სადაურია და როდის აგზავნის კორრესპონდენციას.

ყველაზედ უფრო ძვირფასი კორრესპონდენციებში ფაქტები და დაკვირვებაა. რამდენადაც კორრესპონდენტი მართალი და გამოცდილ კაცად და მაშასადამე სანდოდ ცნობილია, იმდენად იმისგან აწერილს ფაქტებს და დაკვირვებას ფასი ემატება. ამიტომაც მკითხველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს კორრესპონდენტების ვინაობა. ამის ცოდნა რედაქციისათვისაც ძალიან საჭიროა. უამისოთ რედაქცია ვერც კი დაბეჭდავს კორრესპონდენციებს, რადგანაც ის ზოგიერთი ცნობების პასუხის-მგებლობას ვერ იკისრებს ვერც სამსაჯულოს წინ და ვერც საზოგადოების წინ. ამას გარდა რედაქციისათვის ხშირად საჭიროა ზოგიერთი კორრესპონდენციის შესახები კითხვების განმარტება და ვის მიმართოს იმან, თუ ავტორის ვინაობა და სადაურობა არ იცის. დროს ცოდნაც ცნობების დასაფასებლად არის საჭირო, რადგანაც დრო ძველისა და ახალის გამრჩევია.

ამიტომ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს კორრესპონდენტებს, რომ ნაწერზედ დრო აღნიშნონ და თავისი სადაურობა, სახელი და გვარი გამოაცხადონ.

საქართველო

„დროების" კორრესპონდენცია

ქ. ქუთაისი 7 აგვისტო 1873 წ.

„გავიყიდეთ! პერანგი არ გვაცვია! სასმელ-საჭმელს ვიკლებთ და შვილებს ვზრდით!"

აჰა, რას ამბობენ მამები! როგორ გვამადლიან! დიახაც ღირსი ვიქნებით დამადლებისა, თუმც ასრე იყოს, მაგრამ მამები ხშირად ძალიან ტყუილს ბრძანებენ! იმათი აზრით გაზრდა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მოიყვანონ შვილი ქალაქში, თან წამოუღონ რამოდენიმე დღის, ან კვირის ხარჯი, დააყენონ ვისმესთან და მერმე გაუდგენ სახლისაკენ. მთელი ხუთი-ექვსი თვის განმავალობაში ამბავსაც არ მიაკითხავენ თავის შვილსა: იმასაც არ შაიტყობენ, მოკვდა, თუ მორჩა. არიან იმისთანა მამები, რომელთაც შვილები აგრე უპატრონოდ დაუტოვებიათ და შინ, ოჯახში კი არიალა-ლოს იძახიან, ღვინით სავსე ყანწებს სცლიან, აბხაზური დანით ბეჭებს სთლიან და არ აგონდებათ თავისი შვილები, რომელნიც ამ დროს შიმშილს, წყურვილს და სიცივეს სთმობენ და ამაებზედ კიდევ უარესს ზნეობითს დაჩაგრულებაში ჩავარდნილან რასაკვირველია, ამ მდგომარეობაში მყოფი ყმაწვილები ძრიელ ადრე სტოვებენ სასწავლებელს და მირბიან ზოგნი სამხედრო სამსახურში, ზოგნი — მწერლათ და ზოგნი უსაქმოთაც დაეთრევიან. ბავშს, რომელსაც მუდამ ესმის გინება, მთვრალი კაცების ყვირილი და სხვა სიბილწე, გაუფუჭდება ყოველი კეთილი დანერგილება და სწავლაზედაც გული აუცრუდება. განა ამისთანა მამებს არ შეუძლიან, რომ თითონ მოიკლონ უზომო ქეიფი, გვერდი აუხვიონ ბევრ სტუმრობას, დაბალი ფასის ღვედი და ხანჯალი შამოიკრან და უკეთესი გზა მისცენ თავის

ფელტონი

გაკვრა-გამოკვრა

განათლებით თუ არა, განათებით მაინც შესანიშნავი იყო წარსული კვირა. ასეთ-ასეთი ჩირაღდნები და კელაპტრები იყო გამართული, ასეთი ჭრაქები, საჭია-კოკონო ცეცხლები, ფარნები და სხვ. რომ უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს. მართალია, ჭრაქები აქა-იქ სინათლის მაგიერ ხრაკის სულით გვაკვირვებდენ, მართალია ფარნები ხშირათ ჰქრებოდენ (ალბათ როშფორის გამოსატირებლათ), მართალია, კიდევ, შუშხუნები დაგვინამდა... მაგრამ მაგიერათ მთვარემ როგორ მოგვილხინა და გაგვიჩირაღდნა, რომ იცოდეთ! განათებული იყო, ამ კვირეა ჩვენი თფილისის ქალაქი, რაღა!

÷

შაჰი მობრძანდა, დაბრძანდა, წაბრძანდა. გაზეთები მოგვითხრობენ, რომ თფილისის ნახვა მეტათ იამა. „ჩემს დღეში არ დავივიწყებ ამ მშვენიერს ქალაქს და ამ ჩინებულ განათებასო" უთქვამს. მართლა სთქვა ეს თუ არა, ამისი რა მოგახსენო, მაგრამ გაზეთებში კი ასეა დაბეჭდილი; და თქვენ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

მოდი, მკითხველო, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

÷

საფრანგეთში მონარხიელებს მთლათ ერთიანათ გაუმინდვრებიათ. ამ მოკლე ხანში იმათ ბევრი შესანიშნავი საქმე ჩაუდენიათ. ერთი ის, რომ პარიჟელი გრაფი შამბორელს შერიგებია. ნეტავი დავსწრებოდი იმათ შეყრას და შერიგებას. რას იტყოდენ ნეტავი? საქმე ალბათ აი როგორ იქნებოდა.

პარიჟელი გრაფი მივიდოდა თუ არა, ამ ნაირ სიტყვას წაუკითხავდა თავის გამოყრუებულ ნათესავს:

— „გიახელ რათამც გიცნოთ ვითარცა მხოლოდი წარმომადგინებელი საფრანგეთში მონარხიელი პრიცაპისა...."

შამბორის გრაფს რადგანც ყური აკლია და გონებაში ნიადაგ ადამისწლის ამბები და მოგონებები აქვს, სულ სხვა რამე მოესმოდა: ის მაშინვე წამოიწეოდა და რისხვით დაიწყებდა ყვირილს:

— პაპა შენმა ლუი მეთექვსმეტეს სიკვდილით დასჯა რათ გადუწყვიტა, თუ თქვენ კაი კაცები ხართ?

— მაშინ სხვა დრო იყოო, გაბედავდა პარიჟელი გრაფი, მე გიახელ რათა...

— ბაბუა შენი არ იყო, საფრანგეთის კანონიერი კოროლი შარლე მეათე, ხალხმა რომ ტახტიდამ გადააყენა, მისი ადგილი დაიკავა და ჩვენ საფრანგეთიდამ გამოგვყარა?..

— გარემოებები... მე გიახელ რათა.

— ის არ ბრძანდებოდა, დედა ჩემი, ბერის მთავრინა, რომ გააუპატიურა, ქრიობაში ორსულობა შეუტყო, დაიჭირა და საქვეყნოთ გამოააშკარა, რომ იმას საყვარლები ჰყავდა და ბუშიც ეყოლა? ამით ჩემი საკუთარი დაბადებაც უკანონოთ გამოდის: ყველამ იცის რომ მამა ჩემის სიკვდილის შემდეგ ათი თვის მერმე დავიბადე, და ამისთვის „სასწაულის ძე" დამარქვეს სახელათ. ეხლა კი, დედი ჩემის შერცხვენის შემდეგ, მეც ბუშათ მთვლიან...

— თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ იმ დროს ბაბუა ჩემს მინისტრათ და მრჩეველათ ჰყავდა ეს შეჩვენებული (ყვირის) ტიერი....

— ტიერი! გავალ თუ არა პაპი ჩემის ტახტზე (თუმც უფ. დიეცის წინაპარებს ტახტი — საწოლ დივნის მეტი — არა ჰქონიათ) იმ წამსვე ოთხად გავაჩეხინებ და ცოცხლათ შევაწვევინებ ამ შეჩვენებულ ტიერს... ხომ კარგი იქნება!

— ეხლა ვგონებ, დროთა ვითარებისაგან უფრო დახვრეტა ემჯობინება...

— განა იმისთვის მოხველ, რომ ნიადაგ მეწინააღმდეგო? მე ვამბობ, დაწვა სჯობია მეთქი, და ასე უნდა იყოს!

— მე გიახელ, რათამც გიცნოთ და სხვ. ყვირის გაჭირვებული პარიჟელი გრაფი.

— წინათვე ასე გეთქვა, შე დალოცვილო, ეუბნება შამბორელი, და ორივე ერთმანეთს მოეხვევა და გადაპროშტავს.

÷

სურათი მეორე. ფარდა აიხდება და სცენათ პარიჟელი გრაფის სადგურს წარმოგვიდგენს. პარიჟელი გრაფი კრესლოში ზის. ბიძა მისი, ომალის დერცოგი მისწინ გულხელდაკრეფილი დგას, როგორც დამრიგებელს და ხელმძღვანელს შეეფერება. პარიჟელი გრაფი ქვითინით სტირის. ომალელი თვალზე ცრემლს უშრობს და თან ცხვირსაც უხოცს.

პარიჟელი. — დღეს ხომ ყველა მოლალატეს მიძახის, ლიბერალურ პრიცაპებზე უარი სთქვაო, იეზუიტებს დაუმორჩილდაო ამბობენ პრინციპები მაგას თურმე მარტო ტახტის საშოვნელათ ჰქონიაო...

ომალელი — რაც უნდა ის თქვან. რა გაარიგე შენი პრინციპებით, მითხარი, თუ ღმერთი გწამს? ჯერ იყავ და კონსტიტუციის საჭიროებას ჰქადაგებდი. რესპუბლიკელებმა დაამტკიცეს, რომ კონსტიტუცია უჩვენოთაც კარგი გაკეთდება და კოროლი ზიანის მეტს არა ფრათ გამოადგება საფრანგეთსაო. დაიწყე მერე სოციალისტობა, მუშებზე თანაგრძნობით წერას ხელი მიჰყავი, ყველამ თქვა, რომ მუშების მოქრთამვა უნდაო, სოციალიზმი უკოროლოთაც კარგი გაიმართებაო, ამას რესპუბლიკა უკეთ

შვილებს? მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ მამები ეგრე არ ზრუნავენ თავისი შვილებისათვის. აბა როგორ უნდა ისწავლოს ბავშმა, თუ საჭმელი აკლია, ტანისამოსი არა აქვს, სადგომი ცუდი აქვს, სანთელი არ უნთია და ამასთანავე წიგნებიც ეძვირება? ჩემის ფიქრით, ამგვარ სწავლას სულაც უსწავლელობა სჯობს, რადგანაც, ნაკლულოვანებისგამო, შეიძლება, რომ ბევრი ყმაწვილი გაირყვნეს და ხასიათით გაფუჭდეს. ყოველი ეგრეთი შევიწროება კეთილი დანერგულებებს უკეთურათ გადუქცევს. წელიწადი არ გაივლის, რომ ქუთაისში ხუთმეტი, ოცი ყმაწვილი კაცი არ სტოვებდეს სასწავლებელს თავისი მამების უზრუნველობისგამო. მაშასადამე, მამებმა თითონ თავისთავს უნდა დაემდურონ, თუ მათი შვილები რამე ცუდს საქმეს და უსიამოვნებას შეახვედრებენ გარყვნილი და გაფუჭებული ზნეობის გამო. იგონებ, არა ერთი მაგალითი მომხდარა, რომ ეგრე გამოზრდილი შვილები გაავაზაკდნენ და მამებსაც ვაი ვაგლახი აძახეს.

მეტს ეხლა არას მოგახსენებთ, რადგანაც ამ საგანს კიდევ ხშირად უნდა მიუბრუნდე შემდეგში.

ვლადიმერ მ.

ოზურგეთის „დროების“ კორრესპონდენტს

„დროების“ № 30 წავიკითხე უფ. გურგენ ქლენტის სტატია ოზურგეთის უფასო შკოლის გახსნის თაობაზედ, რომელშიაც კორრესპონდენტი აცნობებს „დროებას“, ვითომ ხუთასი მანეთი იყოს მოგროვილი ამ შკოლისთვის; რომ ყოველ ორ კვირაში იყოს აქ წარმოდგენაები ამ შკოლის სასარგებლოთ და ქალები შემწეობას არ აძლევდენ შკოლის გახსნის თაობაზედ. მე ძლიერ მაკვირვებს კორრესპონდენტის თავხედობა ამ შემთხვევაში. რა სურს იმას? თუ ზრუნავს ის ჩვენი შკოლისათვის, გვითხრას პირდაპირ და ჩვენ იმას მადლობას შევსწირავთ, თორემ ეხლა არ ვიცით რა უნდა უთხრათ უფ. ქლენტს. თავადმა დიმიტრი გურიელმა რომ სახლი გვათხოვა შკოლისათვის, თ. გრიგოლ გურიელს რომ თავისი ხარჯით მასწავლებელი ჰყავს დაკავებული და შკოლაში 15 ოდე მოსწავლე ბავშები არიან, ამაზედ სრულებით საჭირო არ იყო ლაპარაკი, რადგანაც ეს ამბავი რამოდენჯერმე იყო დაბეჭდილი, „დროებაში“.

შესახებ მისა, რომ ვითომ 500 მანეთი გვქონდეს მოგროვილი საზოგადოებას, მომეცით ნება ვკითხო უფ. კორრესპონდენტს, მას აქვს ეს ფული მიბარებული, თუ ვის? სჩანს რომ მას არა სცოდნია, რამოდენი ფული არის და ან როგორ მიდის ამ შკოლის საქმე, და თუ ნებას მომცემ, მკითხველო, მე აგიხსნი: ფული ჯერ არ არის შეკრებილი, მხოლოდ სიაზედ ხელ-მოწერილნი რიან რამოდენიმე კეთილნი პირნი, რომელთაც აღვითქვეს შემოწირვა წლობით რამოდენიმე ფულისა საშუალებისა მებრ. ეხლა ის სია აქვს ოთხს პირს, საზოგადოებისაგან ამორჩეულს, და იმათ უნდა შეკრიბონ ფული, და ფულის მოკრეფის შემდეგ შეადგინონ თავის აზრი, შესაძლებელი იქნება იმ საშუალებით შკოლის გახსნა თუ არა. ჩვენ არ გვინდა ცუდ საფუძველზე შევადგინოთ შკოლა. ჩვენი მიზანი არის, რომ ეხლა დაარსებულ შკოლას ძირი დაედგას და ქარმა არ წაგვიქციოს, როგორც სხვაგან ემართება... თეატრი ყოველ ორ კვირაში არისო აცნობებს „დროების“ კორრესპონდენტი. მერწმუნეთ მე როგორც ვიცი, ერთი წარმოადგინეს წარსულს წელში, ვგონებ, ივნისის თვეში, და მეორე წელს მარტში. ამაებზედ მაშინვე დაიბეჭდა „დროებაში“ კორრესპონდენციები. შემოსრული თეატრისაგან წარსული წლის ფული 56 მანეთი მიბარებული აქვს ერთს პატიოსან პირს, და დანარჩენი ფულის ანგარიში საზოგადოების მწევრთაგანმა ყველამ ვიცით. უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ამ შკოლის დაუსრულებლობისა ის არის, რომ ამ საქმეში მიუცილებელი საჭირო არის ქალების შემწეობა. მაგრამ ჩვენ ქალები არ გვყავსო, ბრძანებს უფ. კორრესპონდენტი. ძლიერ მაკვირვებს, რას ნიშნავს ეს სიტყვები, ქალები არ გვყავსო? რა უნდა მითი დაგვიმტკიცოს მან, ვითომ ოზურგეთის ქალები იმისთანა არ იყონ, როგორც სხვაგან არიან ქალები, თუ რა? მისი აზრით აქაური ქალები კარტის თამაშობაში და ტანციობაში ატარებენ დროს. ეს თუნდ ასე იყოს, მაგრამ ამ შკოლის თაობაზედ რა შემწეობა მოვთხოვეთ ჯერ ჩვენ ქალებს, რომ უარი ეთქვათ? მე ნამდვილად ვიცი, რომ ვახრამოვის მეუღლე დიდ შემწეობას აძლევს ჯერ-ჯერობით მითი, რომ ფული შეგროვდეს და მერმეთ ვნახოთ კიდევ რა იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოთ ოზურგეთის ქალებიც მოგვცემენ დიდ შემწეობას, შკოლა თუ დაგვიწესდა ოზურგეთში. ზოგს ეხლაც მოწერილი აქვს ხელი სიაზედ და კიდევაც შემოაქვს ფული. სხვა რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენ ქალებს, კორრესპონდენტო, სანამ შკოლა არ გაიხსნება? ეს არის დამოკიდებული ფულების შეკრებაზედ და შემდეგ ვხედავთ, შეგვიძლია დავაფუძნოთ შკოლა თუ არა! მანამდის კი მე და შენ რომ ვიყვიროთ,' შკოლა არ დაფუძნდა ქალების მიზეზითო, ეს არ იქნება სიმართლე.

დარისპან მიქელაძე.

— ქალაქში ხმა დაარდა, რომ აქაური მმართებლობა ეხლა იმის რჩევაშია, თუ ბაქო-ტფილისის რკინის გზას რა მიმართულება უნდა მიეცეს, ელიზავეტპოლზედ თუ სიღნაღზედ. კარგი იქნებოდა, რომ რკინის გზა ამ უკანასკნელი ქალაქისაკენ გაყვანილიყო, რადგანაც აქეთ იმდენი ტეხნიკური დაბრკოლება არ შეხვდებოდა და უფრო მდიდარ ადგილებზედაც გაივლიდა.

— ამბობენ, რომ კახეთიდამ რამდენიმე გლეხი ჩამოსულა ტფილისში ზოგიერთი ტყის-მცველების უკანონო მოქმედებაზედ საჩივლელად.

— გურიიდამ იწერებიან, რომ იქ ერთი ბარონი მომკვდარა, რომელსაც ოზურგეთის საქალებო შკოლის სასარგებლოდ სამოცი თუ ოთხმოცი თუმნის საღირალი ძვირფასი ნივთები დაუტოვებია. თუ ეს მართალია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნივთები დანიშნულს კეთილ საქმეს მოხმარდება.

უცხოქვეყნები

საფრანგეთი

—ბროლისა და იმის მინისტრებს, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, თურმე ცოტა გაბედულობა შემოჰკლებიათ მონარხიის აღმადგენელი პლანების შესაწევნად, რადგანაც ყოველის საფრანგეთის კუთხიდამ ცუდი ამბავი მიუდისთ: შეუტყვიათ, რომ მთელი ხალხი აღდგებაო, თუ, ვინიცობაა, ნაციონალურმა კრებამ მონარხიის აღდგინება გამოაცხადაო: საშინლათ გაცხარებულია თურმე გლეხობა, რომელიც თავგადადებული არის, რომ ძველი უსამართლო წესების აღდგინება არავის გააბედვინოს. ეს ფრთების შეკვეცა იყო უთუოდ იმისი მიზეზი, რომ მონარხიულ პარტიას დანიშნულ ვადამდის ნაციონალური კრების მოწოდებაზედ ხელი აუღია.

— ეხლა ნაციონალურ კრებაში ირიცხება 726 წევრი; ამათგან 96 მარჯვენა მხარეს შეადგენს, 266—მარჯვენა შუა-გულს, 37—ბონაპარტიელ წრეს, 109 —მარცხენა შუა-გულს, 143 მარცხენა მხარეს და 77 მარცხენა კიდეს. 15 რესპუბლიკელი, რომელნიც ტარჟეს წინამძღოლობით 24 მაისს ტიერის მოწინააღმდეგებს მიემხრო, ამ ანგარიშით ჩარიცხულია მარჯვენა შუა-გულში, აგრეთვე ჟან-ბრუნე და ლორიე, რომელიც რესპუბლიკელებს მოსცილდა. წარმოიდგინოთ, რომ მონარხიელებს ბედი შეეწია, შეუძლებელი საქმე მოხდა და მთელმა მარჯვენა შუა-გულმა მარჯვენა მხარეს ხმა მისცა და მონარხიის აღდგენაზედ დათანხმდა, მაშინაც იმათ წინააღმდეგ 6 ხმის უმეტესობა იქნება რესპუბლიკელების მხრით ე. ი. 366 ხმა 360 ხმის წინააღმდეგ. მაგრამ ზოგნი ფიქრობენო, რომ მონარხიელებს შეუძლიანთ, რომ მარცხენა შუა-გულიდამ რამდენიმე კაცი გადაიბირონო და თუ, ვინიცობაა, ეს მოხდა, მიშინ კი ხმების შეფარდება იმათი სასარგებლო გამოდგება.

მოახერხებსო. წავეიხდა, ხომ ხედავ, მაზანდა. ეს წყეული და ღვთის პირისაგან შეჩვენებული რესპუბლიკელები ეხვრიტეთ, ეხვრიტეთ და რესპუბლიკა კი მაინც ვერ დაეხვრიტეთ: როშფორი, ღვთის მადლით, დავკარგეთ, მაგრამ იმის მაგიერ ათმა სხვამ ამოჰყო თავი. გამბეტა, ხომ ხედავ, როგორ ძლიერდება. დღესა თუ ხვალ პრეზიდენტობა იმას ერგება. და თუ ეხლა არ ვეცადეთ, შენი მტერი ჩვენი საქმე ცუდათ იქნეს. რა ვქნათ? ხალხს კარგი ოინი მოუხერხეთ. როცა ის ომმა დაღალა, წარუდგინეთ ჩვენი მომხრენი და შევფიცეთ, ჩვენ მარტო შერიგება, ომიანობის მოსპობა და მშვიდობიანობის დაარსება გვინდა თქო, მაშინ როდესაც რესპუბლიკელები ჰქადაგებდენ ომი გავაგრძელოთო. ხალხმა ჩვენი მომხრენი ამოირჩია დეპუტატებათ, იმას ეგონა ომს მოსპობენ და რესპუბლიკას არ შეეხებიანო, როგორც ჩვენმა მომხრეებმა შეფიცეს. საკმაო რიცხვი რომ ამოერჩია ხალხს ჩვენი მომხრეებისა, მაშინ ხომ კარგი, მაგრამ ლეგიტიმისტებმაც ამ ნაირივე ოინი იხმარეს, და დღეს იმათაც იმდენი დეპუტატები ჰყავთ, რამდენიც ჩვენი მხრისკენ არიან. თუ არ შევურიგდებით, დაიშლება ეს კრება და შემდეგი ხომ ერთიანათ რესპუბლიკელებისგან იქნება ამორჩეული. სადაური პრინციპები, სიდაური კონსტიტუცია! გახდეს ხელმწიფეთ შამბორელი გრაფი, ის ყრუა, ბებერი, უშვილო. მალე მოკვდება და შენ მისი მემკვიდრე შეიქნები. დღეს თუ არა, იცოდე შენს დღეში არ გეღირსება შენ ტახტზე შესვლა.

პარიჟელი —ეს მართალია, მაგრამ ის ხომ ყველას სძულს, და ვაი თუ იმასთან ერთად ჩვენც შეგვიძულოს ყველამ.

ომალელი—შეხებზე მკიდია მე ყველას შეძულება, ხელმწიფეთ გახდი, და მაშინ საკმაო ძალა გექნება, ვისაც გინდა იმას მოიმხრობ, ზოგს ჩინით, ზოგს ჯილდოთი, ზოგს ადგილის მიცემით...

პარიჟელი—რითი ვიმართლოთ თავი, რითი ავხსნათ ეს გადადგომა მამაპაპური პრინციპებიდამ.

ომალელი—შე უხეირო, ნუ თუ ტყუილი ვერ მოგიხერხებია! თქვი, რომ გამბეტას გაძლიერებამ, ბაროდეს ამორჩევამ თვალი ამიხილა, ზეგარდამო შთამაგონა და დამარწმუნა, რომ მონარხიელები უნდა ერთ მაზრათ იდგენ თქო, და ამიტომაც დამორჩილდი, სხვერპლათ მიუტანე საფრანგეთს შენი აზრები და პრინციპები და სხვ. და სხვ. განა ძნელია?

პარიჟელი გრაფი თვალს აახელს, გახარებული, მაგრამ მის საწერ სტოლზე მისივე თხზულებებს დაინახავს „ინგლისელი მუშა-ხალხის ასოსიაციებზე“ სოციალური აზრებით გატენილებს, და გული უეცრათ შემოეყრება. ომალელი აფურთხებს და გარბის. ფარდა ჩამოეშვება. ისმის სლოკინი, ტირილი და კბილების კრაჭუნი.

მესამე სურათი:

ორლეანელების დედა-ბურჯი, ოდიფრე-პაკიე, ემუსაიფება ლეგიტიმისტების მოთავეს ბარანიონს.

ოდიფრე-პაკიე.— თეთრი დროშა შეუძლებელია. სამ-ფეროვანი დროშა მიიღეთ და მის თეთრ შუაგულზე, თუ გინდათ, თქვენი ყვავილი დახატეთ.

ბარანიონი.—ნწნწნწ... თეთრი დროშა უნდა იქნეს, გადაწყვეტილია.

ოდიფრე-პაკიე.—აპა-პა-პა. სამფეროვანი უნდა იყოს, ამას ვერ დავთმობთ! მინისტრებათ ვის დანიშნავთ?

ბარანიონი.—ყველას ჩვენებს, რასაკვირველია!

ოდიფრე-პაკიე.— ნახევარი მაინც ჩვენი უნდა იყოს, უამისოთ ვერ მოვრიგდებით.

ბარანიონი.—ჯერ ხელმწიფე ტახტზე დავსვათ, და მერმე მინისტრების დანიშვნა იქნება. ვისაც უნდა იმას დანიშნავს.

ოდიფრე-პაკიე.—ვა! ის ხომ თავის მხლებლებს დანიშნავს, ისინი სულელურათ მოიქცევიან და ხალხი ახალ რევოლიუციას მოახდენს, თქვენც გაგრეკს და ჩვენც თქვენს სირცხვილში გაგვხვევს. თქვენი ხელით თავი რათ დაიკლათ?

ბარანიონი.—ჩვენი კოროლი იმისთანა კაცია, რომ თავის ნებაზე იცის საქმის წაყვანა, რასაც ზეცა შთააგონებს. ამას არაფერი მოუხერხდება... მაგრამ ვიფიქროთ, ვნახოთ, მოვიკითხოთ. ნახვამდის!...

ოდიფრე-პაკიე.— (თავისთვის) თუ გაგაცურეთ, ხომ კარგი, თუ არა და აი ამ ულვაშს მოვიპარსავ!

ბარანიონი.—(თავისთვის) თუ გაგაცურეთ, ხომ კარგი, თუ არა და აი ამ ულვაშს მოვიპარსავ!

÷

მეოთხე სურათი.

ჩაიზლჰურსტში რუერი ვითომ-იმპერატრიცას (ევგენიას) ემუსაიფება.

—შერიგების ნუ გეშინია. ხალხს შამბორი საშინლათ სძულს, განათლებულ საზოგადოებას იმისი არა სწამს რა. ორლეანელები უფრო ძლიერი იყვნენ მით, რომ ფულის პატრონები ბევრი იყო იმათ მხრით. ეხლა ორლეანელებიც შეიძულეს და ორივე დინასტია უკავლენო შეიქნა. თუნდაც რომ გამეფდენ, ორიოდე წელიწადი მიმიცია მეფობის ვადათ. მერმე კი ჩვენი რიგი იქნება. და თუ ღმერთმა ჰქნა და რესპუბლიკელებ დაასუსტა როიალისტების გამარჯვებამ—ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩება. ისინი ერთმანერთს ამოჭამენ, დახვრეტენ, დაკარგა

— მონარხიული გაზეთები სცდილობენ, ფრანცუზების სიძულილი ბურბონებისადმი ცოტათი მაინც შეამცირონ და ამიტომ ლიბერალურ აზრებს აწერენ შამბორს მარტებენ იმის მანიფესტს ისე, თითქო ისინი სინიდისის თავისუფლებას, მეფეზედ პარლამენტის ზედამხედველობას და საზოგადო არჩევის უფლებას კანონიერად აცხადებდენ. ვინც მეფობას ეძიებს, ამბობს ფრანციზული გაზეთი „დროება„, ყოველთვის ძალიან უხვია ის ამ გვარ შეპირებაზედ. ყველაზედ უფრო უხვი ამაში ნაპოლეონი იყო. მერმეთ გაზეთს მოჰყავს შამბორის სიტყვები სხვა და სხვა იმის მანიფესტებისა და წერილებისაგან და ამბობს, რომ ამაზედ უფრო პირდაპირი და ცხადი აზრები არც ერთს მეფობის მეძიებელს არ უთქვამსო. ის წინაღმდეგია ყველაფრის, რაც ამ უკანასკნელი 80 წლის განმავალობაში საფრანგეთს შეუძენია; ის უარჰყოფსო ჩვენს კანონებს, ჩვენს განათლებას და სარწმუნოებათ თანასწორებას.

— 17 აგვისტოს პარიჟში რადიკალური პარტიის კრება იყო, რომელზედაც ამ პარტიის ბიუროს ანგარიში უნდა მიეცა მთელი პარტიისათვის პოლიტიკური საქმეების მდგომარეობაზედ. ანგარიშში ის აზრი იყო გამოთქმული, რომ მონარხიული პარტიის პლანები დეპარტამენტებში თანაგრძნობას ვერ პოულობენო და ამიტომ რესპუბლიკურმა პარტიამ გადასწყვიტა, რომ თავდაჭერით ვიყოთ და ვიცადოთო. ყველაფერი გვაიმედებს, რომ ამ ახლო ხანში მოსახდენი დამატებითი არჩევა ყველგან რესპუბლიკელების სასრგებლოდ გადაწყდება.

—მარშალი მაკ-მაჰონი ამ ბოლოს დროს ისე აღარ თანაუგრძნობს გ. შამბორისა და გ. პარიჟის შერიგებას. ამბობენ რომ ამაში ფინანსთ-მინისტერს მანს ჰქონდაო იმაზედ გავლენა, რომლის წიგნს სხვა გენერლების და ტიერის მომხრეების წარდგინებებიც დაეხმარაო. ბონაპარტიელმა და ტიერელებმა დაარწმუნეს მაკ-მაჰონი, რომ, თუ მონარხიელებს შეეწიო, შენს ადგილს დაჰკარგავო და პატიოსანი სალდათის სახელსაც, რომელსაც შენ აგრე აფასებო; რომ ჯარი შენ ცრუ კაცათ გიცნობს, თუ შენ სიტყვას გადაუდგეიო. ამბობენ, რომ პრეზიდენტმა მმართებლობის მომხრე გაზეთებს სთხოვა, რომ შერიგებაზედ და იმის შედეგებზედ ლაპარაკის კილო შეესცვალეთო. მართლა რომ უკანასკნელ დღეებში სამი მმართებლობის მომხრე გაზეთები სულ სხვანაირათ ალაპარაკდნენ.

— ამბობენ, ბონაპარტიელები რადიკალებთან და ტიერის მომხრეებთან შეერთებას აპირობენ, რომ ბროლის სამინისტროს ერთად ეწინააღმდეგონ, მაგრამ იმ პირობით, რომ როცა ბროლის სამინისტროს დასცემენ, მერმე თითოეული პარტია თავისუფალი იყოს. მაგრამ ჯერ არ იციან, როგორ მიიღებს ამას რესპუბლიკელი პარტია და მეტადრე ტიერი, რომელსაც ეხლა მთელი მარცხენა მხარე თავის წინამძღოლად იცნობს.

მეორეს მხრით ლეგიტიმისტებს და ორლეანისტებს შუა ჯერ კიდევ მტკიცე კავშირი არ არის.

— „პეტერბურლის უწყებების„ კორრესპონდენტი იწერება ბრეტანიდამ: თუმცა ბრეტანი ყველა საფრანგეთის მაზრებზედ უფრო მორწმუნე და მონარხიის მომხრედ ითვლება, მაგრამ როგორც მე თვითონ დავრწმუნდი გლეხებთან ლაპარაკისაგან, ხალხს ჰენრიხ მეხუთის სახელი გასაგონებლათაც ეზარებაო. მებატონეები აქაურებს ძალიან სძულთ და მონარხია რომ დაფუძნდეს, გლეხობა ისევ ბონაპარტიელებს მიმართავს, ვინემ ლეგიტიმისტებსო. ბონაპარტიელები რაც შეუძლიანთ სარგებლობენ ამ შემთხვევით და გლეხებსა და დაბალ სასულიერო პირებს ეტრფიან, რომელთაგან პირველთ ძველი წესები ეჯავრებათ და მეორეთ უმაღლესი სასულიერო პირები. არ ვიცი როგორი მიღებული არიან ბონაპარტიელები ღვდლების სახლში, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ მოთევზე და მოვაჭრე სოფლებში იმათ არ უშვებენ.

— ლუი-ბლანს დაუბეჭდია ერთ გაზეთში თავისი აზრი ეხლანდელ საფრანგეთის მდგომარეობაზედ. ის ამბობს, რომ რესპუბლიკას არავითარი უბედურობა არ მოელისო, იმისი ძალა არაოდეს არ ყოფილაო აგრე ცხადი, როგორც ახლა. მართალია, რესპუბლიკა მონარხიელების ხელშია, მაგრამ თუ ის დასაღუპავი იყო, 24 მაისს უნდა დაღუპულიყოო. მარტო ისა, რესპუბლიკის არსებობას რომ მტრები თავისი საკუთარი მიზნის მისაღწევად ითმენენ, ლუიბლანის აზრით, ამტკიცებს იმას, რომ საფრანგეთში სხვა გვარი მმართებლობა შეუძლებელიაო. მართლა, კონსერვატული უმრავლესობა თითქმის ამგვარადვე ფიქრობს. ბურჟუაზიის უმეტესი ნაწილი არავითარს მნიშნველობას არ აძლევს შერიგებას და ბურბონების ტახტზედ აღდგინებას მარტო სასულიერო პირები და თავადაზნაურობის რაოდენიმე ნაწილი იმედობს. და რაც ძალით ჰენრიხ მეხუთის გამეფებას შეეხება, მრავალი ამას ჰფიქრობენ, რომ არც მაკ მაჰონს და არც ომალის პრინცს არ შეუძლიანთ, რომ ჯარი თავისკენ მიიმხრონ მეორე დეკემბრის განმეორებისათვის ბურბონების სამეფო სახლის სასარგებლოდ.

— დე-გასპარენს, რომელიც ორლეანების ერთი დიდი ნაწილის წინამძღოლათ ირაცხება, ზოგიერთ გაზეთებში წიგნი დაუბეჭდია, რომელშიაც ამბობს, რომ ორლეანელებს არაფრის დათმობა არ შეუძლიანთო და თუ პარიჟის გრაფმა თავის უფლებებისგან ხელი აიღო, ეს სრულიად ვერ გადაიყვანსო ორლეანელებს ლიბერალებს აბსოლუტური პარტიისკენ, როგორათაც შამბორის მხრით უარ-ყოფა ვერ გაალიბერალებდაო ლეგიტიმისტებს. ეს წიგნი ორლეანელების უმეტესობის პროგრამმათ მიაჩნიათ და მეტადრე უფრო შესანიშნავია, რომ ეთანხმება თვითონ პარიჟის გრაფის სიტყვებს, რომელმანაც წინეთ სთქვა: „ორლეანელი პრინცი ტახტის მეძიებელი აღარ არის, მაგრამ ამით არ უნდა მოისპოს ორლეანელი პარტია, რომელიც 1830 წლის პრინციპების ერთგული მომხრეა.“

ესპანია

— თუ კორტესების სხდომები დრომდის გადაიდევა, კასტელარს უნდა, რომ ვენა, რომი, ბერლინი და ლონდონი მოიაროს და ავსტრიის იტალიის, გერმანიის და ინგლისის მმართებლობას ესპანიის რესპუბლიკის ცნობაზედ მოელაპარაკოს.

—ესპანიის მმართებლობა აქამდის ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, მართლაც რომ სთქვას კაცმა, არც ეხლა არის კარგად; მაგრამ, რაც უნდა, იყოს ეხლანდელმა მმართებლობამ უფრო ღონიერება და სიმტკიცე გამოიჩინა. მოკლეს დროში იმან დაიმორჩილა სამხრეთის მაზრები, რომელნიც მადრიდის მმართებლობას განუდგენ, ცალკე ფედერალური რესპუბლიკა გამოაცხადეს და უნდოდათ მთელი ესპანია თავისთან შეეერთებიათ და მერმე ერთად საზოგადო ფედერალური კანონები გამოეცათ. ამას გარდა ეხლანდელს მმართებლობას მარტო დამარცხება არ რგებია ჩრდილოეთის მაზრებში კარლოსის მომხრეებთან ბრძოლის დროს. მმართებლობამ ამათზედ რამდენიმე ალაგს გვარიანად გაიმარჯვა და ახლა 80 თუ 90 ათასი ჯარი იმათ პირისპირ გააგზავნა. ეხლადელმა მმართებლობის მხედართ-მთავრებმაც უფრო მომეტებულიმხედრული გონიერება მოიხმარეს,—ისინი ეხლა იმასთანა ქალაქებში აგროვებენ ჯარს, რომელნიც ადგილის მდებარეობით და სიმაგრეებით უფრო ადვილი დასაცველი არიან. თუ კი როგორმე კარლოსის მომხრეებზედ სამუდამოდ გაიმარჯვეს, ესპანიაში უთუოდ რესპუბლიკური წესიერება დამყარდება.

თანამედროე შენიშვნები და სურათები

საფრანგეთის გაზეთები გვატყობინებენ, რომ გერმანიელები ყოველ დღე სცლიან რომელიმე ქალაქს, ან ციხეს. უკანასკნელი 250 მილიონის მიცემის შემდეგ ერთი მტრის სალდათიც აღარ დარჩება იქა და საფრანგეთი თავისუფალი შეიქნება.

მშვენიერს სურათს წარმოადგენს დაკავებული ქალაქები იმ დროს, როდესაც პრუსიელები გადიან იქიდგან: ხუთი წამის წინ, სანამ მტერი დაიძრეოდეს თავის ბანაკიდგან, მთელი ქალაქი კეტს ფანჯრებს, კარებს და მცხოვრებლები შედიან სახლებში—ქუჩაში ვერ ნახავთ ერთ სულდგმულს. იფიქრებთ: აქ რაღაცა ჟამს ან სხვა საშინელ სნეულებას გაუვლიაო! ამ ნაირ სიკვდილის მზგავს მყუდროებაში სტოვებენ გერმანიელები დაპყრობილ ქალაქს. მაგრამ, გავიდა თუ არა მტრის ჯარი ქალაქის გარედგან, შეხედეთ იმავე ქუჩებს, სახლებს და რას დაინახავთ! ყველა ფანჯრები ერთბაშათ ივსება სამფეროვანი საფრანგეთის დროშებით, ბალკონებზედ კიდებენ ძვირფას ფარჩებს, ქუჩებში მთელი ქალაქი მუზიკით, ბაირაღებით და სიმღერებით დადის. აღარ აქვს მათ აღტაცებას სამზღვარი—უცნობი და ნაცნობი ყველანი ეხვევიან ერთმანერთსა,

---

ვენ, მაშინ ჩვენ გამოვალთ, როგორც 1848 ში და ვაშა-ვაშას დავსძახებთ.

—მე კი სული მიმდის, მეჩქარება-და...

—ახლა ნამეტანს ნუ კი მომინდომებ შენც. თავი რომ მხარზე გვაბია, იმის თაყვანსაც უნდა ვსცემდეთ შემოქმედს... მე დალოცვილო, რა გვაკლია? ფული ბევრი გვაქვს, მხლებლები სულ დარჩეული ყმაწვილები გყავს და ქეიფი შენისთანა ორმაც არ იცის ამ დედა-მიწის პირზე...მოიცადე და თუ რამე მოვახერხეთ, ხომ კარგი, თუ არა და—ღვთის მადლით შიმშილით არ მოვკვდებით. სულელები კი არ ვყოფილვართ, ოცი წლის განმავლობაში კარგა ძალი ფული ვიგდეთ ხელში...

÷

მეხუთე სურათი.

ტიერი და გამბეტა ერთმანერთს სიზმარში ხედვენ.

ტიერი.—შენ მიქენი ეს საქმე, შენი ბაროდეთი. ეს სულ შენი ბრალია.

გამბეტა.—სულ შენი ბრალია, ჩემი კი არა. როცა ძალა და გავლენა შენს ხელში იყო, როცა უაღრეს სიმაღლეზე იდექი, პრუსიელი ჯარის გაყვანაზე პირობა რომ შეუკარი ბისმარკს, რათ არ იხმარე მაშინ ის შენი გავლენა მონარხიელების წინააღმდეგ? შენ მაშინ ჩვენი გათელვა მოინდომე, გინდოდა იმ გამარჯვებით რესპუბლიკელი პარტია დაგემორჩილებია, მაშინ როდესაც მონარხიელებზე უნდა გეხმარა შენი იარაღი. ჩვენც უნდა გვეჩვენეიბა შენთვის, რომ ხალხის ძალა ჩვენსკენ არის, რომ ხალხს ჩვენ, რესპუბლიკელები, ვსწამვართ, და არა თქვენ, ვითომ-რესპუბლიკელები. ბაროდეს მაგიერ რომ რემიუზა ამოგვერჩია, მართალია, შენ იქნებოდი დღეს პრეზიდენტათ, მაგრამ შენ პროექტებს დაამტკიცებინებდი, რომელნიც სანიადაგოთ რესპუბლიკის მომავალს აფუჭებდენ და შხამვენ...

ტიერი.—ნუ ფიქრობ მომავალზე, დამმორჩილებოდი, ჩემს სიცოცხლეში მე ვიქნებოდი პრეზიდენტათ და მერმე შენ დაგილოცავდი გზასა და კვალს. აკი გეუბნებოდი ასე სჯობია მეთქი!

გამბეტა.—რაც სჯობია მე უფრო კარგათ ვიცი.

ტიერი.—არა მე!

გამბეტა.—ვნახოთ!

ტიერი.—ვნახავთ!

+

მეექვსე სურათი

ქარხნის კარებში ორი მუშა დგას.

პირველი.—შეიტყვე?

მეორე —როგორ არა...

პირველი.—ოჰჰჰჰჰ!

მეორე.—(კბილებს აკრაჭუნებს).

პირველი.—ეს მერამდენეჯერ ერჩებით გაცურებული?

მეორე.—ვან დაითვლის...

პირველი.—ოჰჰჰჰჰ!

მეორე.—(კბილებს აკრაჭუნებს).

ორივე ქარხანაში შესვლას აპირებენ. კარებზე ზედ-წარწერილია: „მუშაობა მოისპო რადგანც სამუშაო აღარა არის რა.“

ორივე მუშა ერთმანერთს შეხედავს, მათ ფერმკრთალ პირის სახეს სამარის ფერი ედება და თვალებში ბრაზი გაელავს. სიტყვა ამოუღებლათ ორივე ცალ-ცალკე მიდის.

÷

მეშვიდე სურათი.

შუაღამეა. ვერსალის რკინის გზა მოვიდა პარიჟში. დეპუტატები ჯგუფ-ჯგუფათ გამოდიან, მუდამი-კომისიის სხდომიდამ დაბრუნებულები.

ერთი იმათგანი კაპუცინების ბულვარზე მოდის. იმას მადმუაზელ ალისას სადგომზე გამოუვლია და ეს უფრო ძვირი ვინემ ძვირფასი ქმნილება ვახშმათ დაუპატიჟებია. ორივენი პეტერსისას შედიან.

— ეი, უძახის დეპუტატი, ცალკე კაბინეტი დამიმზადეთ, ვახშამს ყური უგდეთ! და თან ოფფენბახის არიას დასტვენს: „იდას მთაზე სამ ღმერთინას“ და სხვ.

სანამ ვახშამი მოერთმეოდეს, სანამ შამპანის ღვინო გაყინდებოდეს და ხოხობი შეიწოდეს, დეპუტატი ალისასთან კანკანის ცეკვას იწყებს. კანკანის დროს ალისა ჰკითხავს—რას შვებით, მეფეს მალე დასვამთო, იქნება მაზანდა გაგვიკეთდესო? დეპუტატი უპასუხებს, დიდი იმედი გვაქვსო, ძალიან ჭახრაკები მოვმართეთო, დღეს თუ ხვალ საქმეს დავაბოლოვებთო. ამასობაში ორივე უფრო აღტაცებული კილოთი შეექცევიან კანკანს. დეპუტატი ფეხის წვერით ალისას თავზე თმას უსწორებს. ალისა მაგიერათ ფეხით შლიაპის მოხდას უპირებს: შეხი აიწევა, ფარდა დაიშვება.

ნ. სკანდელი.

ართმევენ ხელს და ულოცვენ განთავისუფლებას. ეს რაა, პატარა ბავშვებიც კი აგროვებენ თავიანთ ტოლებს და თავის მუზიკით, აჭრელებულ ტანისამოსით, ბაირაღებით დარბიან ქუჩებში მხიარულების კიჟინით. „ეს რა თილისმა უყვიათ ამ ხალხისთვის, რომ ხუთი წამის უკან ასე გამოიცვალა ამათი სული მდგომარეობაო“ იტყვის საქმის უცნობი კაცი.—იმას უპასუხებენ უბრალოთ: ეს ხალხი რამდენიმე წამის წინეთ მტრების ხელს-ქვეშ იყო და ეხლა თავისუფალი შეიქნაო. ცნობის მოყვარე უცხო კაცი იტყვის მაშინ: ოჰ! რა თილისმა ჰყოფილა ეს თავისუფლებაო!

ჩვენ კი, ჩვენის მხრით, სრულიად არ გვაკვირვებს ეს ალტაცება ფრანცუზებისა, ჩვენ გვესმის, რას უნდა გრძნობდეს შემთხვევით დაჩაგრული ხალხი. მართლა, ამაზედ უარესი მდგომარეობა კიდევ იქნება! რომელიმე ახირებული თავმოყვარე, ან გამოჩერჩეტებული მმართველის წყალობით, ხალხი ჩავარდნილა გარეშე ხალხის მონებაში. არ ესმის მისი ენა, არა აქვს მასთან ერთობა შთამამავლობით, ჩვეულებით, ხასიათით, ლტოლვით და მიმართულებით. უკანასკნელად, არ სდგას განათლებით და ხელოვნებით თავის დამორჩილებულზედ მაღლა! მაგრამ გამარჯვებული მაინც ატანს ძალას, რომ გადიღოს ყველაფერი მისგან. რასაკვირველია, როდესაც ხალხი ამისთანა საზარელ მდგომარეობიდგან დაახწევს თავს, მაშინ იმას არ ეზრახება, რაც გინდ გიჟურ მხიარულებას არ მიეცეს იგი.

ამას წინეთ მინისტრების პრეზიდენტს თავადს ბროლის გამოუთქვამს ეხლანდელი მმართებლობის დაფარული აზრი ლიონის პრეზიდენტის დიუკროს სახლში. აი რას ამბობს ბროლი: ჩვენ უნდა ვდევნოთ ჩვენი წინაამდეგები უკიდურესს შეძლებამდის; იმპერიის საშვალებები რესპუბლიკელების დასაწყნარებლად უფერული და სუსტი იყვნენ; ჩვენ კი ისეთ კანონებს გამოვსცემთ რომ რესპუბლიკელებს გაელენა დაეკარგოს სამუდამოთ. 24 მაისის შემდეგ ჩვენი ბრძოლა უბრალო ბრძოლა როდია—ეს არის სიკვდილ სიცოცხლეზედ დუელი. „ან ჩვენ ან რადიკალები—ერთი და ერთი უნდა დავეცეთ!“ ღირსეულ მინისტრს ღირსეული ადგილიც ამოურჩევია თავის სიტყვის წამოსათქმელად. ეს ამ ულსარებოთაც კარგათ იცის ვინც კი ადევნებს პოლიტიკას თვალყურს. ეხლანდელ მმართებლობას რომ პიროვნული ჟინი აქვს რესპუბლიკელებისა და არ ზოგავს—ამას რაღა განმარტება სჭირია? თუ გინდ ავადმყოფი როშფორის გაგზავნა ახალ კალედონიაში, რომელსაც ბეჯითი სიკვდილი ან საშინელი სატანჯველი მაინც მოელის გზაში და იქ ცუდ ჰაერში—რა არის, თუ არ მტერობა?

ვიქტორ ჰუგომ, როდესაც ყველა ღონისძიება მოისპო როშფორის დარჩენაზედ, მისწერა ბროლის წიგნი, რომლითაც წარჩინებული პოეტი სთხოვდა მას, როგორც თავის მოძმე აკადამიკოსს როშფორის ბედის შემსუბუქებას. „როდესაც როშფორისთვის სამარე გაიჭრება, იმ დღეს მთელი საფრანგეთი საზარელი შავებით შეიმოსება; შთამომავლობა არ მიგიტევებს თქვენ ერთი უჩინებულესი და თავისებური ჩვენი საუკუნის მწერლის სიკვდილსაო!“ ეუბნება ჰუგო თავის მოძმე და მინისტერს. მაგრამ ეს გაფრთხილება უნაყოფოთ დარჩა.

არც ერთ მწერალს უკანასკნელი სამოცდა ათი წლის განმავლობაში არ ჰქონია ისეთი დროებითი მნიშვნელობა, როგორ ანრი როშფორს. როშფორმა პირველად ვილმესანის ფიგაროში მიიქცია საყოველთაო ყურადღება,—თუმცა წინეთაც კი დაეწერა რამდენიმე კომედიები და ლექსები, მაგრამ დიდი ღირსებისა არ ყოფილან. ფიგაროდგან როშფორი მალე გამოვიდა, რადგანაც ვილმესანი ნაპოლეონის მმართებლობას მოურიგდა. მაშინ როშფორმა დაიწყო გამოცემა თავის „ფანრისა.“ ეს ჟურნალი ას ორმოცი ათასი ეკზემპლიარი იბეჭდებოდა; ხშირად არც კი კმაროდა ხოლმე ეს რიცხვი. თითო ნომრის ფასი ადიოდა ხოლმე ორ-სამთუმნამდინს! ყველა პარტია ბონაპარტიელებს გარდა ტაშს უკრავდა როშფორის მახვილს, გესლიანს და მხიარულ სატირას ნაპოლეონის მმართებლობაზედ და სახლობაზედ. იმპერატრიცა ევგენიას ნაღველის სნეულება (желтуха) გაუჩინა როშფორის ფარანმა. იმ დროს მარტო როშფორის სახელი იყო ყოველგან, და ბედნიერად რაცხდა ის პირი თავის თავს, ვინც ერთხელ გამოელაპარაკებოდა მას და ხელს ჩამოართმევდა; არავის არ მოუტანია იმდენი ვნება ნაპოლეონისთვის, არავის არ მოუკვეთია ძირი მისი მმართებლობისთვის, როგორც როშფორს. მაგრამ მთავრობაც კი უზღავდა მას მაგიერს. როშფორს ამ დროს ასი ათასი მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს და 42 თვე სატუსაღოში ჰყავდათ—სულ წერისთვის. რასაკვირველია უკანასკნელად, სრულიადაც აკრძალეს ფანარი. მაშინ როშფორი წავიდა ბელგიაში და იქიდგან დაიწყო თავის ჟურნალის გამოცემა. ამ გარემოებამ, კიდევ მიუმატა ინტერესი და გავლენა როშფორს. სამოცდა 9-ში შესანიშნავი მწერალი ისევ დაბრუნდა პარიჟში—რადგანაც ხალხმა დეპუტატათ აირჩია კანონმდებელ კრებაში. ამ დროსვე დაიწყო ახალი ჟურნალის „მარსელიეზის“ გამოცემა. უკეთესი მწერლები მონაწილეობდენ ამ გაზეთში და ჩინებულათაც მიდიოდა საქმე. მაგრამ ოლივიემ, ნაპოლეონის მინისტრმა იპოვა საუმჯობესოდ, რომ დაეხურა ეს გამოცემა და როშფორი ხელახლავ საპყრობილეში ჩაეგდო. ამ მდგომარეობაში იყო ის 4 სეკტემბრამდის, როდესაც ნაპოლეონის სახლობა ჩამოაგდო ხალხმა და საფრანგეთში რესპუბლიკა დაწესდა. ხალხს არ დაეიწყებია ამ დიდებულ დღეს თავის შემწე და მეგობარი მწერალი. შვადღეზედ საპყრობილის კარები დამტვრეული იყო: როშფორი და ფლურანსი ხალხმა ტრიუმფით მოიყვანა საქალაქო სასახლეში. აქ როშფორს ახალ მმართებლობაში მინისტრის ადგილი მისცეს. მაგრამ ის დიდ ხანს არ ჰყოფილა თავის თანამდებობაში. შეატყო თუ არა, რომ ტროშუ და ფავრი სულ მოკლეთ ირჯებოდენ და სრულებით არ სურდათ პარიჟის გადარჩენა, მან იმ წამს დათხოვნა შეიტანა.

ომის შემდეგ როშფორი მეექვსე დეპუტატათ იყო პარიჟიდგან გაგზავნილი პალატაში და ტიერი კი მეოცდა მეერთეთ. როშფორმა როცა ნახა ბორდოში ამდენი უმზგავსო წარმომადგენლები, როცა ნახა მონარხიელებიდგან გარიბალდის შეურაცხყოფა და გარიგების სურვილი, მაშინ იმან დაანება თავი დეპუტატობას.

კომმუნის დროს როშფორი პარიჟში იყო. ის ჰკიცხავდა ვერსალელების მოქმედებს, მაგრამ არ ამართლებდა მთლად არც კომმუნას. ერთ დროს როშფორის სიცოცხლე შიშში იყო კომმუნარებისგან. პარიჟის დანგრევის და გაოხრების შემდეგ როშფორი საზღვარ გარეთ მიდიოდა, მაგრამ იქ პოლიციამ იცნო ის და დაჭერილი მიიყვანეს ვერსალში.

ეხლა როშფორი სამუდამოთ ახალ კალედონიაში გაგზავნილი.

რამდენი გაჭირვება, უსიამოვნება და ბრძოლა გასწია ამ კაცმა თავისუფლებისთვის, ნელი სათქმელია. ათ ჯერ მეტად დუელში გასულა თავის სტატიების მიზეზით. სხვათა შორის, აშილ მიურატი, კასანიაკი, ბაროში, ნაპოლეონის მინისტერის შვილი ყველა ამათთან ყოფილა გამოწვეული დუელში. ბაროში მოკვდა როშფორის ხელით, საფრანგეთში დიდი სირცხვილია დუელისგან უარის თქმა და ამისთვის იქ თითქმის ყოველ თვეში სამი-ოთხი შემთხვევაა ლიტერატორებში დუელისა.

თავის პროცესის დროს როშფორმა ერთი გესლიანი სიტყვა სთქვა: „მე ვიშიშვი ამას, რომ რესპუბლიკიდგან დაკარგული რომელსაც სიცოცხლე შევწირე, არ განმათავისუფლოს იმპერიამო!“

აი, ამ ნაირი ბედისაა ეს მახვილი და ძვირფასი ნიჭის კაცი! ამნაირად მიუზღო იმ კაცებმა, რომელნიც ნაპოლეონის დროს აქებდენ და თაყვანს სცემდენ მას! ლეგიტიმისტებისთვის, ორლეანისტებისთვის ისე საზარელი იყო ნაპოლეონი, როგორც როშფორისთვის, მაგრამ ეხლა ისევ ბონაპარტელებს შეუერთდენ როშფორის მტერობაში. კარგი მადლობაა!

პარიჟის გრაფის მგზავრობიდგან შამბორთან, როგორც მოსალოდნელიც იყო, ვერაფერი გამომდგარა. ამ ვადა-გასულ თავადებს, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენიათ თურმე პოლიტიკაზედ. ისევ ის უთანხმოება და განხეთქილება დარჩა მონარხიულ პარტიებს შუა როგორიც იყო. სასაცილო ის არის, რომ ორლეანის გაზეთები ამ მგზავრობის შემდეგ კონსერვატორული რესპუბლიკელისკენ იბრუნებენ პირს. „ქამთა ვითარებაო“ რომ იტყვიან ჩვენში—ის არი!

ნარევი

— ვინც ვენის გამოფენის დასათვალიერებლად დადის, ისინი ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევენ თურმე იმ მაშინებს, რომლითაც რამდენიმე წამში წაღები და ტანისამოსი იჭრება და იკერება.

— „ტფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია ერთი სომხის, თავ. მ. დადიანის სტატიის თარგმანი (თანამედროვე სომხის საზოგადოება სათათრეთის იმპერიაში), რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია, რომ სათათრეთში მცხოვრები სომხობა სამ ნახევარ მილლიონამდის არისო. მარტო სტამბოლში ასორმოცდაათი ათასი სული სომეხი იქნებაო.

— ერთი ინგლისელი ჟურნალი ძალიან ემადლიერება ინდოეთელ ინგლისის მმართებლობას იმის გულისთვის, რომ ადგილობრივ ჟურნალებსა და გაზეთებს აგრე ლმობიერად ეპყრობა. იქაური მმართებლობა ბოროტად არ ხმარობს თავის მამობრივულს, მაგრამ მაინც დესპოტურს უფლებას, და სრულიად არ სცდილობს, რომ რაიმე გავლენა იქონიოს ადგილობრივი საზოგადო აზრის ორღანებზედ. ის მხოლოდ ყურადღებას ადევნებს იქაური ჟურნალებსა და გაზეთებს და იმათი შენიშვნები და რჩევები ყოველთვის მხედველობაში და სახელმძღვანოთ აქვს. ყოველ კვირაში განგებ დადგენილი ჩინოვნიკები სთარგმნიან ინგლისურ ენაზე ყველაფერს, რაც 50 გაზეთებსა და ჟურნალებში ინგლისის მმართებლობისათვის საინტერესოა და ამას გარდა ყოველივე საჩივარს მმართებლობის ჩინოვნიკებზედ. ეს გამოკრებილი ნათარგმნები იბეჭდება ცალკე საკვირაო მოხსენებასავით და იქიდამ მმართებლობა ტყობილობს, თუ რას ჰფიქრობენ მცხოვრებლები, რა უნდათ, ან რითი არიან უკმაყოფილო. ეს ცნობები მმართებლობას რასაკვირველია იმ ზომით მიუდის, რამდენათაც ადგალობრივ ნაბეჭდავებში, ადგილობრივ მცხოვრებთ აზრი და გრძნობა გამოიხატება.

— ინდოეთიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ შემდეგი ხუთი წლისათვის ინგლისის მმართებლობას 27 მილლიონი სტერლინგი გადაუდვია, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ამ ფულით (ორას მილლიონ მანეთამდის) 3,700 მილი (5,500 ვერსტამდი) რკინის გზები გაკეთდეს, და 50,000 კვადრატური მილი სახნავ-სათესს მიწას სარწყავი არხები და რუები გაუკეთდეს. ამ ფულის დახარჯვა ვერც ჩვეულებრივს შემოსავალ-გასავლის თანასწორობას დაარღვევსო და არც ახალი გადასახადის დადებას მოითხოვსო.

„ტფილისის მოამბის“ № 86 ნომერში დაბეჭდილია ძლიერ კარგი ფელტონი, რომელშიაც მწერალი ტფილისელ და სხვა კავკასიელ გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნთმაღაზინებს და ბიბლიოთეკებს ეხება და თითოეული იმათგანის თვალში-საცემ თვისებას რამოდენიმე მოსწრებული სიტყვით დასცინის. რადგანაც „ტფილისის მოამბე“ ტფილის გარეთ ძალიან ცოტათ არის გავრცელებული, ამიტომ „დროების“ მკითხველებს უნდა გადმოუთარგმნოთ ზოგიერთი ამ ფელტონის ალაგი.

„დროება“. ჩვენს მკითხველებს კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა შევატყობინოთ: ამ დღეებში სოფ. ტაბახმელიდამ გაემგზავრნენ ჟენევისკენ ორი ყმაწვილი ქალი. არც დრო, არც ადგილი და არც გარემოება ნებას არ გვაძლევს, რომ ჯეროვნად დავაფასოთ ეს დიდი მნიშვნელობის მქონი ფაქტი, რომელიც აგრე დიდ იმედს გვაძლევს.

„კრებული“. უფ. სკანდელი გვაცნობებს, რომ ახალი ახალგაზდობა ამ ახლო ხანში თეთრ თოფის წამალს გამოიგონებსო.

„სასოფლო გაზეთი“. ანბანის რიგზედ დაწერილი სია, რომელშიაც მოხსენებული არიან საქართველოს სოფლების მამასახლისები, დროებით ვალდებულნი ხელის მომწერნი უფ. წერეთლის გაზეთზედ.

„გუთნის-დედა.“ მმართებლობის მხრით მიღებული შესაწევარი გინძია და სხვა ყოველივე—ამაო.

„მნათობი“. ამბობენ, რომ მომავალს წელში ეს ჟურნალი თავის [illegible] წარწერის მაგიერ საბაკევიჩის სიტყვებს დაბეჭდავს პირველ გვერდზედ: „მარტო ერთი ფოჩტმეისტერია ვარიანი კაცი, მაგრამ ისიც ფლიდიაო“. პირველს კრიტიკულ სტატიას, რომელიც „კრებულ-დროებას“ ეძლვნება, ამგვარი სახელი ერქმევა: „აი თქვენ ასეთები, თქვენ ისეთებო“.

„სომხითის ფუტკარი“. გვაცნობებენ, რომ ვენის გამოფენა „წიწერნაქის„ (მერცხალო, მერცხალო) სიმღერით გათავდებაო

„მუშაკი“ (სომხური) შუშის მოქალაქე კარლ პოლოსოვი ფრანკფურტში მიუწვევიათ პუბლიკური ლექციების საკითხავად იმაზედ, თუ რა გავლენა აქვს დიდ სარგებელს მომჭირნეობაზედ და ცივილიზაციაზედ და რამდენად მიუცილებელი საჭიროა სამხედრო სამსჯულოს დაწესება ვადა-გასული ვექსილების შესახებ.

„ტფილისის მოამბე“. შემდეგი ნომერი გამოვა ერთი კვის უკან.

„კავკაზი„ (რუსული გაზეთი) ჩვენ განვიხილეთ კითხვა შუა-აზიის გზების თაობაზედ და გადავდივართ განსახილველად ამუდარიის მდინარის ძველი კალაპოტისა, რომელიც კამბრიოზის სასირცხოდ ბალახ-ბულახით დაფარულა და სხვა sic transit gloria) mundi-მდის. (აგრე წარმავალია დიდება სოფლისა ამის).

„კავკასიის ძველი დრო„ (რუსული, სამწუხაროდ, ჩვენ იმისი არაფერი ვიცით-თუ როგორ ივარცხნიდნენ თმას ბაბილონიელები და ასურსტანელები მაშინ, როცა იმათი სახელმწიფოები ეცემოდა. შემდეგ ნომერში დაწვრილებით გიამბობთ, თუ როგორი თმის-ვარცხნა იცოდნენ მეოთხე საუკუნეში მონასტრების მცველებმა და ამასთანავე ჩაურთავთ პარიკმახერი პიერისაგან გაკეთებულს ნახატებს.

„არხეოლოგიური კამმისიის აქტები“ (რუსული) შირვანის ხანს ატალი ასკერ-კერიმ ოღლის ცოლათ ჰყავდა სულეიხანუმი, რომელიც დასაფლავებულია სოფელს აზიუში.

ივანოვის ბიბლიოთეკა. ხივაში ბიბლიოთეკის განყოფილების გახსნას აპირებს.

ვიხმანის ბიბლიოთეკა. ისყიდება მშვენიერი იტალიელი სიმები.

ბერენშტამის წიგნთ-მაღაზიი უკანასკნელი კურიერის ფოჩტით მიეიღეთ გავანნის ციგარები ქ. რიგიდგან და კავალერიაში სამსახურის სიგნალები.

ვართანოვის წიგნთ მაგაზინი. „ბუნება და კაცები“ ისყიდებიან წონით.

ერთი კამიტეტი. სიტყვა ვეცხლით იფასება და სიჩუმე ოქროთი.

განცხადება.

საქართველოს და იმერეთის სომეხთ კანსისტორიასა შინა გაელილ ივლისის თვის 25 ს დანიშნული ტორგი ტფილისში მდებარე ეჩმიაწინის კუთვნილი მამულების ქირით მისაცემათ არ შესდგა, რადგანაც მოსურნე არ აღმოჩნდნენ, ამისთვის სინოდის ახალის ბრძანების ძალით დანიშნულია იმავე კანსისტორიასა შინა ახალი ტორგი იმავე ავგუსტის 27ს და 31 პერეტორჟკა ქვემო აღნიშნულ საეჩმიაწინო მამულების ქირით მისაცემათ:

1, სამი დუქანი დიდ ბაზაზხანაში № 8, 9 და 10,

2, სამ ეტაჟიანი შენობა დაშტი ხაჩისა შეითან ბაზარში, რომლის ქვემო ეტაჟში ერთი დიდი თაღლა, შუა ეტაჟში ხუთი დუქანი თავისი ოთახებით და ზემო ეტაჟში ერთი ზალა, ოთხი ოთახი თავის კუხნით და ორი ბალკონით № 1, 2, 3, 4, 5, 6, და 7.

3, ოთხი დუქანი, ერთი შუა ბაზარში და სამი ქურჩიხანაში № 2, 3, 4 და 5.

4, ერთი ძველი ნაშენი ორ ეტაჟიანი პატარა სახლი უეზო მოლნინის უბანში № 13.

5. ერთ ეტაჟიანი სახლი თავის ეზოთი. ფრანგების ეკკლესიასთან ორი ოთახი ოთახი და ერთი კუხნა.

მაშასადამე მოსურნეთ შეუძლიანთ გამოცხადდნენ დანიშნულ დროს კანსისტორიაში, სადაც ნახავენ კანდიციასა ყოველ დღე გარდა კვირისა და დღესასწაულ დღეებისა დილის საათის 9 გან შუადღის შემდეგ საათის 2-ს.

Дозволено цензурою Тифлисъ. 24 Августа, 1873г. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი რედაქტორი მესხი